პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 199 (13284) | სამშაბათი, 24 აგვისტო, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტარები საქართველოში

გულითადობა და სტუმართმოყვარეობა

ასე შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ ვიეთარება, რომელშიც მიმდინარეობს შეხვედრები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაციასთან საქართველოში. ყველან, სადაც კი გამოჩდებიან ვიეტნამელი პარლამენტარები, ისინი გრძობენ საბჭოთა ადამიანების მხურვალე მეგობრობას, სიყვარულსა და სიმპათიას.

ჩვენ იმისათვის ჩამოვედით, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი ძმური მეგობრობა, გვინდა შევეხებოდეთ და გავიზიაროთ თქვენი გამოცდილება, — აცხადებენ ვიეტნამელი ამხანაგები. ამტომ არის, რომ ისინი ასეთი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა სინამდვილეს. ჩანაწერებით ავსებენ ბლოკნოტები, ვიეტნამის დიპლომატთა საელჩოს კორესპონდენტის ხოანგ თხინისა, რომელიც დელეგაციას ახლავს. ვიეტნამელ ძმრომელებს, — ამბობს იგი, სურთ რაც შეიძლება მეტი იცოდნენ მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ცხოვრებისა. ზედიზედ ცვლის კასეტებს მისი კოლეგა ფოტოკორესპონდენტი ხოანგ ლონგი. უნდა რაც შეიძლება მეტი კადრი გადაიღოს!

ცოტას დილიდანვე ვიეტნამელი პარლამენტარები ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მეუმდივნე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ხოანგ ვან ხოანის მოთაურობით ათვალიერებდნენ თბილისს. მათ ნახავდით ვაკის პარკში, საპორტის სასახლეში, საბურთალოზე, თბილისის ზღვაზე.

— მომხიბლავი ქალაქია! აქ ჰაერია წარსული ჩინებულად არის შეხამებული თანამედროვეობასთან, — შენიშნა ხოანგ ვან ხოანმა.

საპორტის სასახლის დათვალიერებისას მოხდა ეროვნული კრების დელეგაციის წევრთა გულთბილი შეხვედრა ვიეტნამელ სტუდენტთა ჯგუფთან, რომლებიც მოსკოვის სამშენებლო ინსტიტუტში სწავლობენ. ისინი ექსკურსიით ჩამოვიდნენ თბილისში.

— მსოფლიო მართლაც ვიწრო ყოფილა, — თქვა ღიმილით ერთერთმა ვიეტნამელმა.

აუტომანქანების კორტეჟი წყვეთისაკენ გაემართა. ვიეტნამელი მეგობრები პიონერთა ბანაკში მიიწვიეს რკინიგზელთა ბავშვებმა. მათ ძალიან ახარებთ ეს შეხვედრა. სახეიმო მწკრივის შემდეგ სტუმრებს სოხოკეს დაეთვალიერებინათ ბანაკი, სახელოსნოები, ხელმარჯვე ოსტატთა ნაკეთობანი. შემდეგ კი ღია მოედანზე გაიმართა ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი. მაგრამ ძალი ეს კონცერტი გაფართოვდა, მხიარულებამ მოიცვა ვიეტნამელები და მათ კონცერტს მონაწილეებთან ერთად შეკრებილთ გააცინეს თავიანთი ხელოვნება. ტაში ძიწყდა. პიონერმა ნენუ კაპანაძემ სტუმრებს სიტყვით მიმართა:

— ჩვენ ვამაყობთ მამაცი ვიეტნამელი ხალხით. გადაიცით ვიეტნამელ პიონერებს ჩვენი მხურვალე სალამი.

— თქვენმა გულთბილმა სიმღერებმა, ტემპერამენტიანმა ცეკვამ, — თქვა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ვიეტნამის ქალთა ფედერაციის თავმჯდომარემ ნგოუენ თხი თხამმა, — გაგვახალგაზრდავა. ოტბაცებული ვართ თქვენი ნიჭით, ტალანტით. თქვენ გაქვთ მშვენიერი აწმყო და კიდევ უფრო ბედნიერი მომავალი. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში, სწავლაში! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ვიეტნამელი და საბჭოთა პიონერების მეგობრობა.

ჩვენ თქვენთან ვართ, მეგობრებო

ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მხარს თანაუგრძნობს ყველა საბჭოთა ადამიანი, მთელი პროგრესული კაცობრიობა. მაგალ ვიეტნამელებთან ძმური სოლიდარობა მკაფიოდ გამოვლინდა ხალხმრავალ მიტინგზე, რომელიც კვირას გაიმართა ვარკეთილის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

მიტინგზე საბჭოთა მეურნეობის მუშები და სპეციალისტები მოვიდნენ პლაკატებითა და ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილი იყო: „ხელები შორს ვიეტნამისაგან!“, „სირცხვილი ამერიკელ აგრესორებს!“, „ჩვენ თქვენთან ვართ, ვიეტნამელო ძმებო!“ მიტინგის დამწრენი ტაშის გრიალით შეხვდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაციის წევრებს.

პირველმა სიტყვა წარმოთქვა მთავარმა აგრონომმა შ. მახარაშვილმა. მან თქვა, რომ საქართველოს მშრომელები ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მხურვალედ უჭერენ მხარს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ. ძნელი განსაცდელის ჟამს, რაც წილად ხვდა ვიეტნამელ ხალხს, მას მხარში უდგას ერთგული მეგობარი — საბჭოთა კავშირი.

— ვერ გატეხენ ვიეტნამელი ხალხის მასწრაფებას გამარჯვებისადმი, — განაცხადა საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ზ. ტაბატაძემ. მარადიული საქმე გაიმარჯვებს, იმპერიალისტები დამარცხდებიან.

მტკიცდება ჩვენი მეგობრობა

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია 23 აგვისტოს ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ს. ძოწენიძეს, რომელიც გულითადად მიესალმა სტუმრებს.

— ჩვენს ვიეტნამელ ძმებს, — თქვა გ. ს. ძოწენიძემ, — საბჭოთა მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ დ. დვალმა, ბრიგადირმა ტ. აბზიანიძემ, აგრონომმა კ. ყოპალეიშვილმა დაგიმეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკა ვიეტნამის მიმართ. საბჭოთა მთავრობამ, განაცხადეს მათ, არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა საჭირო დახმარებას უწევდა და აკეთებს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ამერიკის აგრესიის მოსაგერიებლად.

შეკრებლებმა დიდი აპლოდისმენტებით მოისმინეს ხოანგ ვან ხოანის გამოსვლა. — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია,— ამბობს იგი, — გახარებულია, რომ შესაძლებლობა მეძლო შეგხვედროდა თქვენ მეგობრობისა და სოლიდარობის ამ მიტინგზე. ნება მიბოძეთ დელეგაციის წევრთა სახელით მხურვალე მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ მხარს უჭერთ ვიეტნამელი ხალხის პატრიოტულ ბრძოლას ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ.

ხოანგ ვან ხოანი შეეხო ქართველი ხალხის წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მან რესპუბლიკის მშრომელებს უსურვა ახალი წარმატებები კომუნისტურ მშენებლობაში.

ხოანგ ვან ხოანმა მოიყვანა მკაფიო ციფრები და ფაქტები, რომლებიც ახასიათებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის აყვავებას. ამერიკელი იმპერიალისტები, აღნიშნა მან, საშულებას არ გვაძლევენ ავაშენოთ სოციალიზმი, მშვიდობიანად ვიცხოვროთ. ხოანგ ვან ხოანმა ილაპარაკა ბრძოლაზე და მამაცობაზე, რასაც ვიეტნამელი ხალხი იჩენს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ჩვენ მხარს გვიჭერენ საბჭოთა ადამიანები. თუმცა ჩვენი ქვეყენები, განსაკუთრებით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა, ათასობით მილით არიან დაშორებული ერთმანეთს, მაგრამ მათი ხალხები მეტად მახლობელი არიან. ჩვენ გვაქვს საერთო მიზნები — სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენება, ჩვენ გვყავს საერთო მტერი — იმპერიალიზმი. ჩვენი ხალხების მეგობრობას საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი პრინციპები. ვიეტნამელი ხალხი მუდამ სარგებლობს მოძმე საბჭოთა კავშირის ხალხების, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის ხალხის სიმპათიითა და მხარდაჭერით.

თავისი სიტყვის დასასრულს ხოანგ ვან ხოანმა გამარჯვება უსურვა ვიეტნამელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობას, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობასა და შეკავშირებას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს გადასცა წითელი დროშა, რომელზეც ოქროს ასოებით ამოქარგულია: „გაუმარჯოს ვიეტნამელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ძმურ სოლიდარობას!“.

მიღებულ რეზოლუციაში ეარკვეოდა საბჭოთა მეურნეობის მუშები და მოსამსახურეები აცხადებენ, რომ მათ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მხარი დაუჭირონ ვიეტნამელ ხალხს.

მიტინგის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს მეურნეობა, იყვნენ ვენახებსა და ატმის ბაღებში. თვალსაჩინო სპეციალისტმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსმა გ. ბადრიშვილმა სტუმრებს უამბო, თუ როგორ ანგარიშნა მზით გადაწყვარ მიწაზე, რომელზეც მაცოცხლებელი ტენი მიიღო, ვრცელი ვენახები, ხეხილის ბაღები, საკენკრეები.

საბჭოთა მეურნეობის დირექციამ სადილი გაუმართა სტუმრებს.

დარბაზობა სტუმრების პატივსაცემად

23 აგვისტოს საღამოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბანკეტო დარბაზში მთაწმინდაზე ვახშამი გამართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაციის პატივსაცემად. (საქდესი).

• • •

სურათზე: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაციის წევრები ქართველ მეტალურგთა ქალაქ რუსთავში.

ფოტო ბ. დადვაძისა და ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის კოლმეურნეობა „თბილისი“ მოწინავეა. მას დიდ დახმარებას უწევენ სამუალო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეები. მათ შორის თავი ისახელა მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ, კომკავშირელმა ნარგიზა სამუშიამ (მარცხნივ), რომელმაც წელს უკვე 4.800 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

მარჯვნივ სურათზე აღბეჭდილია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სადამოს დასწრებული განყოფილების მექანიკური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ა. ნინუა. იგი მუშაობს თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანაში. მან მალე აიმაღლა კვალიფიკაცია და ახლა ამ ახალგაზრდა ხარატს საწარმოში ყველაზე რთულ დასამუშავებელ დეტალებს ანდობენ.

ფოტო ბ. სოკოლოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა) და შ. ჩხეტიანისა.

შრომითი პატაკები

ახალციხე. (საკ. კორ.). ახალციხის № 1 შახტის კოლექტივმა ახალი წარმატების მოპოვებით აღნიშნა მეშახტეთა დღესასწაულისათვის მზადების ეს დღეები: ქვანახშირის ამოღების რვა თვის დავალება 13 დღით ადრე გაანაღდა და ამოცანად დაისახა მეშახტეთა დღესათვის — 29 აგვისტოსათვის გეგმის გადამეტებით 3.000 ტონა ქვანახშირი ამოიღოს.

21 ივლისისათვის გეგმის გადამეტებით უკვე მოიპოვეს ათას ტონამდე ქვანახშირი.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). გამართულად მუშაობს შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის კოლექტივი, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა შვიდი თვის დავალება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და წარმატებით უახლოვდება შვიდწლედის ზღუდეს. ქარხანა წინათ მხოლოდ ჯიბის ფარნის ბატარეებს ამზადებდა. ახლა შორაპნელები უშვებენ ოთხი სახელწოდების პროდუქციას, მათ შორის ელექტრომაგნიტურ რელეებსაც.

შორაპნელებმა საგრძნობლად აამაღლეს პროდუქციის ხარისხი, ფართოდ გაანაღეს ბრძოლა წარმოების კულტურის მაღალ საფეხურზე ასაყვანად. მათი დევიზია მხოლოდ მაღალხარისხოვანი ნაწარმის გამოშვება.

ქალალდ-ცელულოზის წარმოების საქმეში მისაბაძი შრომითი გმირობა გამოიჩინეს ენგურქალალდფომბინატის მერქნის მასის საწარმოს იმ ცალათა კოლექტივებმა, რომლებსაც ე. ზარეკი, გ. შენგელია და შ. ლორთქიფანიძეა ხელმძღვანელობენ. განსაკუთრებული შვიდ თვეში ამ ცალებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 60 ტონა მერქნის მასა და ამით კვლავ განიმტკიცეს კომუნისტური შრომის კოლექტივის სატიტო სახელი.

ცალებში მაღალნაყოფიერი კომუნისტური შრომით ცალეს ისახელეს: რეგიონმა მუშებმა ტ. კაკულიამ, ლ. მესხიამ და მ. ბელინსკიმ.

პ. ქებურია,
პარტიიურის მდივანი.

ახალი საწარმო

საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტი ქუთაისში შეუდგა ახალი საწარმოს — სხვადასხვა დიამეტრის რკინა-ბეტონის მილების დამამზადებელი ქარხნის მოწყობას. საჭირო დანადგარები, სრულიად ცალკის ტექნოლოგიური აგრეგატები საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებს საჩუქრად გამოუგზავნა ლენინგრადის რკინაბეტონის ასოციაციის სამშენებლო კონსტრუქციების ქარხნის „ბარიკადის“ კოლექტივმა.

ქუთაისის ახალი საწარმო, სადაც უკვე დაწყებულია ლენინგრადიდან მიღებული აგრეგატების მონტაჟი, სექტემბრის დასაწყისისთვის მუშაობას შეუდგება და დაიწყებს 600 მილიმეტრი დიამეტრის იქსა მეტრი სიგრძის რკინაბეტონის მილების გამოშვებას. მალე ამ საწარმოში 300 და 400 მილიმეტრი დიამეტრის რკინაბეტონის მილების გამოშვებასაც შეუდგებიან.

გარდაგნელთა გამარჯვება

შრომითი გამარჯვება მოიპოვეს გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. მათ 20 აგვისტოსათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის გეგმა და ნაცვლად 3.060 ტონა ბოსტნეულისა სახელმწიფოს ჩააბარეს 3.071 ტონა. ბოსტნეულის ნაკადი მატულობს.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 1.500 ტონა ბოსტნეული.

მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა

გარდაბანი. (სპეც. კორ.). დიღმის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ბ. საყვარელიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ელიზბარაშვილი) ფართოდ გაშალა ლამჭრობა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. დღიმელი საკვებმომპოვებელი მუშების პირობა იყო პირველ სექტემბრამდე გაეთიბათ 450 ჰექტარი და დაემზადებინათ 616 ტონა თივა.

ზამთრისათვის აქედანვე ემზადებიან

წელს თივის მოსაელისათვის ხელსაყრელი ამინდი როდი იყო. მიუხედავად ამისა, მეურნეობის კოლექტივმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ადგილზე არსებული რეზერვები სრულად გამოეყენებინა, ბალების, ეუნახების ნაპირებზე მეფოსელი თივა ყველგან უდანაკარგოდ აეღოთ, შედეგიც კარგია. უკვე გათიბეს და დანიშულებისაებრ გადატანეს 700 ტონა თივა. ამით წლიურ გეგმას ვადაზე ადრე 84 ტონით გადაჭარბეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ტრაქტორისტები **ვასილ ლალიაშვილი** და **ტარიელ თალაკვაძე.** ახლა თვითეული მათგანი წლიური გეგმის ზევით ყოველდღიურად ათობით ტონა თივას ამზადებს.

მეურნეობის კოლექტივმა წელს კარგი ინიციატივა გამოიჩინა. იკისრა დამზადოს 2.800 ტონა სილოსი, შარშანდელზე ორჯერ მეტი. უკვე შეუდგნენ პირობის შესრულებას. კომბაინერმა **გურამ მესხიშვილმა** ოთხ დღეში 400 ტონა სასილოსე მწვანე მასა აიღო ნაცვლად 228 ტონისა. დღეში 100 ტონა სასილოსე მწვანე მასას იღებს ნაცვლად 80 ტონისა კომბაინერი **გიორგი ხოსიტაშვილი.**

საკვების შომარაგებასთან ერთად ღიღმელი მშრომელები კარგად ემზადებიან პირუტყვის გამოსაზამთრებლად. სწრაფად მიმდინარეობს პირუტყვის საღომების რემონტი, დამზადებული თივა ფერმებში მიაქვთ.

კური — სახელმწიფოს

— თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, — დეკემბერ გვაცნობეს საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ბეკაურმა,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ე. ელბაქიძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ვ. ოთორუაშვილმა,** — სახელმწიფოს მიჰყიდეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლიდან 7.000 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.550 ცენტნერისა, ანუ გეგმა შესრულებულია 126 პროცენტით.

ამ რაოდენობიდან სახელმწიფოს მიეყიდა 5.800 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად 3.350 ცენტნერისა, რაც გეგმის 170 პროცენტს უდრის.

სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვა გრძელდება.

სად როგორ მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრებამდე დიდი დრო როდია დარჩენილი. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის მეჩაიეები უფრო აძლიერებენ კრეფის ტემპს. ორასი ათასი ტონა ჩაისათვის ლაშქრობა გადამწყვეტ ეტაპში შევიდა. წლიური გეგმის შესრულება პირველმა უპატაჟა სამშობლოს **ცხაკაიას** რაიონმა. ამ დღეებში გეგმას შეასრულებს **წყალტუბოს** რაიონი.

ამჟამად ჩაის ფოთლის კრეფის მდგომარეობა შემდეგ სურათს იძლევა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 20 აგვისტოს ცნობებით სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 144.496 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. რაც წლიური გეგმის 78,1 პროცენტს შეადგენს. შარშან ამავე პერიოდისათვის წლიური დავალება შესრულებული იყო 87,6 პროცენტით.

ბალის რაიონს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული აქვს 70 პროცენტით, ოჩამჩირის — 68,9, გუდაუთის — 74, გულრიფშის — 77,5, ქობულეთის — 81,3, ბათუმის — 89,1, ქედის — 91,4, მაზარაძის — 73,6, ზუგდიდის — 75,2, წალენჯიხის — 82,4, ლანჩხუთის — 73,7, ბებეჯორის — 76, ჩხოროწყუს — 81,8, ჩოხატაურის — 83,1, ტყიბულის საქალაქო საბჭოს — 87,7, წყალტუბოს რაიონს — 94,9, წულუკიძის — 85,2, ხობის — 89,5, სამტრედიის — 88,9, აბაშის — 83,7, თერჯოლის — 94,1, ვიეთუთრის საქალაქო საბჭოს — 92,8, ვანის რაიონს — 92, ზესტაფონის — 53,3 პროცენტით. აქედან ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტს — 75,4 პროცენტით.

საჭიროა გაძლიერდეს ფოთლის კრეფის ტემპი, არც ერთი კილოგრამი საკრეფად შემოს უ ლ ი ჩაის ფოთოლი არ დავტოვოთ აუდებელი. მთელი ძალები დავარაზმოთ ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად!

გულითადი მილოცვა მოძველ რუმინელ ხალხს

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ი. მიკოიანმა და ა. ნ. კოსიგინმა ამხანაგებს ნიკოლაე ჩაუშესკუს, კივუ სტოიკასა და იონ გეორგე მაურერს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც ბოძმე რუმინელ ხალხს და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელებს გულითადად ულოცავენ ეროვნულ დღესასწაულს — ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 21-ე წლისთავს და უსურვებენ ყოველივე საუკეთესოს.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ განთავისუფლების წლისთავის დღესასწაულთან ერთად ახალი კონსტიტუციის მიღებას და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადებას. ეს ახალ დიდმნიშვნელოვან ეტაპს მოასწავებს ამ ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა ადამიანებს, ნათქვამია დეპეშაში, დიდად ახარებს რუმინელი ხალხის შესანიშნავი მიღწევები სოციალიზმის მშენებლობაში. ავაყოფილებით აღენიშნავთ, რომ სახელმწიფოთა და ხალხთა ძმური მეგობრობის, ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და თანასწორობის ურთიერთობა განუხრელად მტკიცდება და ვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობისათვის, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის შემდგომი შეკავშირებისა და გაძმკიცების ინტერესებისათვის, მსოფლიოში სოციალიზმისა და მშვიდობის გამარჯვებისათვის.

(საქდესი).

ჩვენს დიაღ საკოლეგიუმში

ერთსულოვნობის ვითარებაში

21 აგვისტოს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ვალდეკ როშე, რომელიც სსრ კავშირში ისვენებს.

ამხანაგური საუბრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება ორივე პარტიისათვის საინტერესო საკითხებზე, საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე. შეხვედრას გულითადი მეგობრული ხასიათი ჰქონდა და ძმური ერთსულოვნობის ვითარებაში ჩაიარა.

(საქდესი).

ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო ვიეტნამის პარტიული მუშაკები

თბილისში იმყოფება ვიეტნამის მშრომელთა პარტიის პარტიულ მუშაკთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა დასასვენებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. ვიეტნამელი ამხანაგები იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადში, სოჭში.

საქართველოში ყოფნის დროს ვიეტნამელმა სტუმრებმა დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მუზეუმებში, მეტალურგთა ქალაქ რუსთავში.

23 აგვისტოს ვიეტნამელი ამხანაგები მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ. გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი. სტუმრებმა ქართველ ხალხს უძღვნეს იმ ამერიკული თვითმფრინავის ნატეხი, რომელიც ჩამოაგდეს პატრიოტებმა ვიეტნამის ტერიტორიაზე.

— დაე ინტერვენტთა თვითმფრინავის ეს ნატეხი, — თქვეს მათ, — მოგაგონებდეთ ვიეტნამელი ხალხის გმირობასა და მამაცობას, რომელიც საძულველი მტრის წინააღმდეგ მკაცრ ბრძოლაში იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ვ. პ. მჟავანაძე ქართველი ხალხის სახელით გულითადად მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა საბჭოთა კავშირის დიდ მეგობარს ამხანაგ ხო ში მინს და მთელ ვიეტნამელ ხალხს. (საქდესი).

ა. მასამგა-დეგა კიევში ჩავიდა

კიევი, 23 აგვისტო. (საკდესი). დღეს ვოლგოგრადიდან უკრაინის დედაქალაქში ჩამოვიდა ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. მასამბა-დება, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობს.

ᲕᲐᲠᲪᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

უᲣᲐᲓᲚᲝ გადასული იყო ონის რაიონის სოფელ საკაოს კოლმეურნეობაში რომ მივედით. პარტბიუროს მდივანი კ. გუგეშაშვილი მოვიკითხეთ და საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

— ყველა კომუნისტს წერილი გავუგზავნე და გავაფრთხილე კანტორაში გამოცხადდეს საღამოს შვიდ საათზე, კრებას კი საღამოს ცხრა საათზე დავიწყებთ. გვიანია, მაგრამ რას იზამთ, სოფელია, ადრე არ ხერხდება, — გვითხრა მდივანმა.

— კეთილი, მაშ დაველოდოთ!

გადავწყვიტეთ წინასწარ თვალი გადაგვეყარა კოლმეურნეობის ეკონომიური მაჩვენებლებისათვის, გავცნობოდით პარტიული ბიუროს საქმიანობას.

საკაოს კოლმეურნეობა დიდი ხანია ეკონომიურად სუსტ საზოგადოებრივ მეურნეობათა რიგებშია. შარშან შრომადღის ღირებულებამ მხოლოდ 22 კაპიკი შეადგინა. ძალზე დაბალი იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, ჩამორჩებოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. საქმე არც ახლა ბრწყინავს. კოლმეურნეობა ერთ ადგილს ტკეპნის. წინ არ იძვრის. ძალიან ცუდად მოაწყეს საგაზაფხულო ხვნა-თესვა. სიმინდი გეგმით გათვალისწინებული ი 70 პექტარის ნაცვლად მხოლოდ 50 პექტარი დათესეს. დაბალია წველადობა. გეგმით თვითეულ ძროხაზე მხოლოდ 600 ლიტრი რძე უნდა მიიღონ. სამწუხაროდ, ასეთ მცირე გეგმასაც ვერ ასრულებენ. მიმღებარე წლის შვიდ თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე 380 ლიტრი რძე მიიღეს.

საოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია 35 კომუნისტს აერთიანებს. როგორც აქ გვითხრეს, ასეთი მრავალრიცხოვანი პარტიული ორგანიზაცია მეორე არ მოიძებნება მთელ რაიონში.

საათის ისარი ცხრას მიუახლოვდა, უკვე დაბინდდა. პარტბიუროს მდივანს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნერვიულობა დაეტყოთ. დარბაზში მხოლოდ ათამდე კომუნისტი შეიკრიბა. გადაწყდა „ენერგიული ზომების“ მიღება. შეკრიბეები დაიგზავნა სოფლის სხვადასხვა უბანში. ამის შემდეგ კომუნისტებმა თითო-ოროლად იწყეს კრებაზე გამოცხადება. კვორუმი როგორც იყო მოგროვდა, და ღამის ათ საათზე მოხერხდა კრების გახსნა.

კრების თავმჯდომარემ საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვა პარტბიუროს მდივანს კ. გუგეშაშვილს მისცა. იგი დაწერილი მოხსენების კითხვას შეუდგა. მომხსენებელმა ვერაფერი თქვა საკაოს კოლმეურნეობის მიღწევებზე. ვერც იტყოდა, რადგან არტელს წარმატებები არა აქვს, ხოლო ნაკლოვანებათა მწკვავე, პრინციპული კრიტიკას რატომღაც მიერიდა და უმეტესად ზოგადი მსჯელობით დაკმაყოფილდა. მას სრულიად გამორჩა ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის, პარტიულ დავალებათა განაწილებისა და შესრულების, პარტიის რიგების ზრდის საკითხები. მოხსენებაში ძუნწად იყო ლაპარაკი აგრეთვე კომუნისტების ავანგარდულ როლზე.

ასეთმა მოხსენებამ კრების მონაწილენი, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილა. ამიტომ იყო, რომ კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა. ამთქნარებდა. თვლემდა. ზოგი კი უნებართვოდ დარბაზიდან ავანში გადიოდნენ. იქ სუფთა ჰაერზე ეოფნას და მასლაათს ამჯობინებდნენ. რამდენიმე კომუნისტს თავზე ქუდი ეხურა და წასასვლელად გამზადებული კაცის განწყობილება ჰქონდა.

როცა კრების თავმჯდომარემ კამათის დაწყება გამოაცხადა, დარბაზში სამარცხეული სიჩუმე ჩამოვარდა. თქვით რამე, იხეუწებოდა თავმჯდომარე, მაგრამ მსურველი არავინ იყო. მაშინ თავმჯდომარე იერიშზე გადავიდა:

— ელიზბარ გუგეშაშვილო, ადექი და თქვი ორიოდე სიტყვა!

— რაა მე დამინახე, შე დალოცვილო!? — განაწყენებული კილოთი წაიბუტბუტა ელიზბარმა და სიტყვის თქმაზე მაინც კატეგორიული უარი განაცხადა.

— ვლადიმერ ქიბაძე! — ამა შენ მაინც თქვი რაიმე, საანგარიშო მოხსენებაში ხომ გაგაკრიტიკეს კრების გაცდენის გამო.

— მართალია, კრება გავაცდინე, კრიტიკას ვიღებ, — თქვა ვ. ქიბაძემ, — მაგრამ ერთი რამ მიკვირს: საანგარიშო მოხსენებაში რატომ ის არ წერია, რომ პარტიული კრება სამჯერ ჩაშალა. ჩვენთან ხომ კრებები ხშირად მოუმზადებლად ეწყობა, ამიტომ ისინი კომუნისტთა ინტერესს არ იწვევს.

მონაწილეთა ერთი ნაწილი მიხვდა, რომ უკამათოდ ფონს ვერ გავიდოდნენ, კრება არ დამთავრდებოდა. ამიტომ ალაპარაკდნენ, შეეკვნენ რამდენადმე შეეეხოთ საანგარიშო მოხსენების ხარვეზები.

კომუნისტთა ავანგარდული როლის შესახებ ლაპარაკი კოლმეურნეობის გამგეობის წევრმა, კომუნისტმა ვ. ბერელიძემ. მან სამართლიანად უსაყვედურა პარტიულ ბიუროს ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი უყურადღებობის გამო. ზოგიერთი კომუნისტი კოლმეურნეობაში ფიზიკურ შრომას გაურბის. პარტიის წევრმა ა. ბერელიძემ აქტიური მონაწილეობა არ მიიღო სგგ-ს ფეხბურთულო სასოფლო-სამეურნეო ხამუშაოებში. გამგეობამ მას დააკლა 0.6 პექტარი მიწის მოხვნა. მაგრამ მან ეს დავალება მხლოდ სანახევროდ შეასრულა. ა. ბერელიძე კოლმეურნეობაში შრომას გაურბის და კერძო, სარფიან სამუშაოს ამიდებს ხელს. წელს მხოლოდ 53 შრომადღე გამომუშავა — გაცილებით ნაკლები, ვიდრე უსარგო, რიგით კოლმეურნეებს აქვთ გამომუშავებული. ასევე ზარმაცობს ამ კომუნისტის მეუღლე ვ. ბერელიძე. მან წელს მხოლოდ სამ დღეს იმუშავა კოლმეურნეობაში.

კიდევ უფრო დაბალი შრომითი მაჩვენებლები აქვს კომუნისტ ა. ბერელიძეს. მან წელს ძლივს მოახერხა 50 შრომადღის(!) გამომუშავება. საკოლმეურნეო შრომაში ნაკლებად აქტიურობენ კომუნისტები გ. ბერელიძე და ზ. ჩარკვიანი. პირველმა წელს 49 შრომადღე გამომუშავა, მეორემ კი — 38.

ზ. ჩარკვიანი საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანია. საგზაფუხარიდ, ცუდ მაგალითს აძლევს კომკავშირელებს. ალბათ ამით უნდა ახსნას ის ფაქტი, რომ ექვსი კომკავშირელი სრულებით არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში.

პარტბიუროს ვერ მოახერხა კომუნისტების გაგზავნა წარმოების დამამწყვეტ უბნებზე. მეცხოველეობის ფერმებში 28 კაცი მუშაობს. აქედან კომუნისტი მხლოდ ერთია.

— პარტიული ორგანიზაცია სათანადო კონტროლსა და დახმარებას ვერ უწევს კოლმეურნეობის გამგეობას, — თქვა კომუნისტმა ვ. ბერელიძემ. — ამის გამო სასოფლო-სამეურნეო ხამუშაოები დროულად და მაღალხარისხოვნად ვერ სრულდება. მაგალითად, წელს არ შესრულდა სიმინდის თესვის დავალება. ნაკლოვანებებია ყანების მოვლა-პატრონობის საქმეშიც. უყურადღებობის გამო ნათესებს პირუტყვი ანადგურებს. ცუდად ზრუნავენ პირუტყვისათვის მტაცი საკვები ბაზის შესაქმნელად. ეს ნაკლოვანებები არ იქნებოდა, პარტიული ორგანიზაცია თავისი მოწოდების სიმაღლეზე რომ იდგეს, ღრმად სწვდებოდეს კოლმეურნეობის ეკონომიკას, შეურიგებლად ებრძოდეს ნაკლოვანებებს.

— მართალია, მართალი! შარშან კოლმეურნეობამ თივისა და სილოსის დამზადების გეგმა ვერ შეასრულა. საკვების ნაკლებობით პროდუქტიული პირუტყვი დაკნინდა. კოლმეურნეობა იძულებული გახდა ქერძო ბაზარზე შეეძინა 1.700 მანეთის თივა. საკვირველი ის არის, რომ საკვების დამზადებას არც ამჟამად ექცევა ყურადღება. კოლმეურნეობას უზვად აქვს სასილოსე მასა, მაგრამ სილოსის დამზადება დაწყებული არ არის. ყველა სასილოსე ორმო რემონტს საჭიროებს, პატრონი კი არა ჩანს.

პარტიული კრება ვერ დააკმაყოფილა ვეტფერშალ. კომუნისტ რ. გორდეზიანის გამოსვლამ. მართალია მან ბევრი ილაპარაკა შრომის ორგანიზაციისა და შრომის დისციპლინის საკითხებზე, მაგრამ ზერელედ შეეხო ისეთ ჩამორჩენილ დარგს, როგორიც არის ხაზოგადოებრივი მეცხოველეობა. საანგარიშო მოხსენებისა ორატორი გეკრატენელი იყო საავგიტაციო მუშაობის ჩაშლისათვის. ამ კრიტიკასაც იგი დუმილით შეხვდა. სრულიად არაფერი თქვა პარტიული დავალების შეუსრულებლობის მიზეზებზე.

კომუნისტმა რ. გუგეშაშვილმა ჟულიტკოვილი გამოთქვა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცუდად დაყენების გამო. უკანასკნელ ერთ წელიწადში კოლმეურნეობაში მხლოდ ოთხკერ იქნა წაკითხული ლექციი. რეგულარულად არ ეწყობა კონსულტაციები. ცუდად მუშაობს სასოფლო კლუბი. ორიოდე — სამეჯაზე ავიდმხატვრული ბრიგადის, დრამატული კოლექტივისა და ოთხიოდე ფანრის [illegible]

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲝ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტბიუროს პარტიული მეურნეობის მოუწესრიგებლობისათვის. ვერ იქნა და ვერ მოგვარდა პარტიულ დავალებათა განაწილება და აღრიცხვა. 35 კომუნისტიდან 17-ს სრულიად არა აქვს მიცემული პარტიული დავალება. პარტიულ სწავლებაში კომუნისტთა მხოლოდ ნახევარია ჩაბმული, კომკავშირელები კი სრულებით არ არიან გაერთიანებულნი წრეებსა და სემინარებში. პარტიული კრებები ხშირად მოუმზადებლად ეწყობა. თითქმის ყველა კრებაზე ერთსა და იმავე ამბანაგებს გამოაქვთ საკითხები, მოღებულ დადგენილებათა შესრულება არ მოწმდება.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ, იმის გამო, რომ იგი სათანადოდ არ იყო წინასწარ მომზადებული, ღამის ორ საათამდე გასტანა. უფრო მეტ გაოცებას იწვევს ის, რომ პარტიული ორგანიზაციის ასეთი სუსტი მუშაობა კრებამ მაინც დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მოწყობის ასეთი შემთხვევები აღარ უნდა განმეორდეს. ეს უნდა გაითვალისწინოს პარტიის ონის რაიკომმა.

Ზ. ᲪᲘᲠᲘᲥᲘᲫᲔ,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲒᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲖᲜᲐᲣᲠᲘ, (საკ. კორ.). პარტიის ზნაურის რაიკომის პლენუმმა მოისმინა სოფელ ავნევის ფ. გუბაძიშვილის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს ანგარიში.

მომხსენებელმა — საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანმა შ. ჯავახიშვილმა და ორატორებმა აღნიშნეს, რომ ავნევის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელ ხანებში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გააუმჯობესა, რის შედეგადაც იმატა კოლმეურნეობის სამეურნეო წარმატებებმა.

«მასთანავე პლენუმზე კომუნისტებმა ილაპარაკეს პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება, რომელსაც ყველა საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია განიხილავს.

ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲘ ᲤᲐᲡᲐᲜᲐᲣᲠᲨᲘ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). პარტკომში უკეთესად როგორ გამოვიყენოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები, როგორია ჩვენი რაიონის მთიან ზონაში მეცხოველეობის განვითარების შემდგომი პერსპექტივები — ეი ის საკითხები, რომლებზეც იმსჯელეს ამ დღეებში პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებმა. აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებმა თავიანთი ზონალურ თათბირზე დაბა ფასანაურში.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კპ ლენინის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგის ფ. მირზიაშვილის და საწარმოო სამმართველოს ზოოტექნიკოსის ლ. მკრტჩიანის მოხსენებები.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲑᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის 7 აგვისტოს ნოშერში დაბეჭდილი იყო წერილი „მზიური ველის კონტრასტები“. წერილში ლაპარაკი იყო ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე არსებულ ნაკლოვანებებზე.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. დ. ნიკურაძემ რედაქციას აცნობა: წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ყიზლარის ზამთრის საძოვრებსა და ტრასაზე მართლაც სრულიად უნებართვოდ თინანეთის, დუშეთის და ყაზბეგის რაიონების კოლმეურნეობებმა დატოვეს 25.000 სული ცხვარი.

სამინისტრომ წერილობით წინადადება მისცა აღნიშნული რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოების უფროსებს პარტიის რაიკომებთან ერთად გადამჭრელი ზომები მიიღონ იმათ მიმართ, ვინც უხეშად დაარღვია წესი და საძოვრებზე დატოვა პირუტყვი. ამასთან ერთად მეოთხე ტრასაზე გამოვლინდა მიწების მოხვნის ფაქტები, რაც აკრძალულია. მიღებული. ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სამინისტრომ გააფრთხილა ყიზლარის ზამთრის საძოვრების სამმართველოს უფროსი მ. ბელაშვილი, ტრასის უფროსი მ. ფიცხელაური განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დამნაშავეთა მიმართ, შემდგომში არ დაუშვან ასეთი დარღვევები.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲔ-2 ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ,

24 აგვისტო, 1965 წ.

ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲖᲕᲔᲠᲐᲪᲘᲐ—„ᲖᲝᲜᲓ-3“

ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ

მეთვე მსოფლიოს მთვარის მეორე მხარის კოსმოსური ფოტოგადაღების დამთავრება მიიჩნია ახალ თვალსაჩინო წვლილად კაცობრიობის მიერ კოსმოსის ათვისებაში. ამ მოვლენას მიეძღვნა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში, რომელიც 23 აგვისტოს გაიმართა. პრეს-კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თვალსაჩინო მეცნიერმა ასტრონომებმა და ასტრონავიკოსებმა.

ჟურნალისტებს სიტყვით მიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

„საბჭოთა მეცნიერების პორიზონტები, თქვა მან. მიღებულია დიდმნიშვნელოვანი ცნობები დედამიწის ახლო კოსმოსური სივრცის ფიზიკის, საპლანეტათშორისო გარემოს, მზის გამოსხივების, პლანეტების ფიზიკური თვისებების შესახებ. განხორციელდა პილოტირებული კოსმოსური თანამზავრი ხომალდების შესანიშნავი გაფრენები.

დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო საბჭოთა კოსმოსური რაკეტების გაშვება მთვარის, ჩვენი უახლოესი ციური სხეულის მიმართულებით. მრავალი საუკუნის მანძილზე მთვარის შესასწავლად იყენებდნენ ვიზუალურ, ფოტოგრაფიულ და სხვა სამუალებებს, რომელთა დახმარებით მოხერხდა დეტალური ცნობების მიღება დედამიწიდან მთვარის ზედაპირის ხილული ნაწილის შესახებ.

ყველა ეს მეთოდი, რომლებიც დედამიწიდან მთვარის ზედაპირის ხილული ნაწილის შესწავლის საშუალებას იძლევა, ხაზგასმით აღნიშნა მეცნიერმა, პრინციპულად გამოუყენებელია მისი უხილავი მხარის შესასწავლად. იგი მრავალი საუკუნის განმავლობაში საიდუმლოებით იყო მოცული. მთვარის უხილავი მხარის აგებულების შესახებ წამოყენებული იყო წინაღმდეგობრივი ჰიპოთეზები, რომელთა შემოწმება შეუძლებელი იყო დედამიწაზე არსებული საშუალებებით. ამიტომ კოსმოსურმა რაკეტებმა დაიწყეს ახალი ეტაპი არა მარტო მთვარის შესწავლაში, არამედ მთელი ასტრონომიულ მეცნიერებაშიც, აღტაცებას იგი ძლევარი ექსპერიმენტული მეთოდებით.

1959 წლის სექტემბერში სტარტი აიღო კოსმოსურმა რაკეტამ ავტომატურ სადგურ „ლუნა-2“-ით, რომელმაც პირველად მიაღწია მთვარის ზედაპირს. ამ ფრენის შედეგად დადასტურდა, რომ მთვარეს არა აქვს შესამჩნევი მაგნიტური ველი და რადიაციის სარტყელი. 1959 წლის 7 ოქტომბერს ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-3“-მა პირველად მოახდინა მთვარის უხილავი მხარის ფოტოგადაღება, და მიღებული ფოტოსურათები ტელევიზიის წესით გადმოსცა დედამიწაზე. ეს იყო მთვარის უხილავი მხარის პირველი ფოტოსურათები, უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის ცნობები. მიღებული ფოტოსურათების შესწავლის შედეგები გამოქვეყნებულია მთვარის უკანა მხარის ატლასში, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა. 1964-1965 წლებში მთვარის მიმართულებით საბჭოთა კოსმოსური რაკეტების ფრენის შემდეგ გაფრენები განახორციელეს ამერიკის „რეინჯერ“ კოსმოსურმა აპარატებმა. რომელთა საშუალებით მოხერხდა მთვარის ხილული მხარის ფოტოსურათების მიღება, რომლებშიც კარგად მოჩანს მისი ზედაპირის დეტალები.

1965 წლის 18 ივლისს განხორციელდა ავტომატური სადგურის „ზონდ-3“-ის გაშვება მეცნიერული კვლევის საწარმოებლად შორეულ კოსმოსურ სივრცეში, აგრეთვე შორეული კოსმოსური აპარატების სისტემების დამუშავებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ამოცანების გადასაწყვეტად.

ავტომატური სადგური „ზონდ-3“ ამბობს აკადემიკოსი კელდიში, აღმურავილია სამეცნიერო აპარატურის დიდი კომპლექსით, რომლის მიზანია მეისწავლოს დედამიწისირეკვლივი კოსმოსური სივრცისა და საპლანეტათშორისო გარემოს მაგნიტური თვისებანი, მზის, ქარის, გალაქტიკის დაბალი სიხშირის რადიოგამოსხივება, მიკროშეტეორები, კოსმოსური სხივები, აგრეთვე გამოიკვლიოს მთვარის ზედაპირის ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სპექტრები.

აკადემიკოსმა განაცხადა, რომ უკვე მიღებულია დიდი მეცნიერული ინფორმაცია, რომლის დამუშავებაც წარმოებს. მან აღნიშნა: იმის გარდა, რომ „ზონდ-3“-ში განხორციელდება მეცნიერული კვლევა, გამოიცდება გეოფიზიკური ფრენა, რომლის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა აქვს ორიენტაციისა და ასტროკორექციის სისტემების ახალ საშუალებათა დამუშავებისათვის. განხორციელდება მასალების გამოცდა კოსმოსური სივრცის პირობებში. სადგურის ფოტოსაკვლევიზიო აპარატურა საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნას პლანეტების ფოტოგადაღება და მათი გამოსახულებანი გადმოიცეს ასეულ მილიონობით კილომეტრ მანძილიდან.

სადგურ „ზონდ-3“-ის გაშვების თარიღი და მისი ფრენის ტრაექტორია ისე იყო არჩეული, რომ, როცა სადგური მთვარეს ჩაუვლიდა, მიეღო იმ უხილავი ნაწილის ფოტოსურათები, რომელიც გადაუღებელი დარჩა. 1959 წელს. ფოტოგადაღება წარმოებდა დაახლოებით ათი ათას კილომეტრ მანძილიდან, ხოლო სატელევიზიო გადაცემები — კადრის 1.100 პწკარად დაწლით. ფოტოგადაღების პირობების შერჩევამ და სატელევიზიო სისტემის გარჩევის დიდმა უნარმა მეცნიერებს საშუალება მისცა მიეღოთ მთვარის უხილავი მხარის უადრესად დეტალური და ზუსტი ფოტოსურათები, რომლებიც უდიდეს ინტერესს წარმოადგენს.

თავისი ხარისხით ფოტოსურათები, რომლებიც ავტომატურმა სადგურმა „ზონდ-3“-მა გადმოსცა, განაცხადა აკადემიკოსმა კელდიშმა, პრაქტიკულად არ ჩამოუვარდებიან დედამიწის ობსერვატორიებში მიღებულ მთვარის ხილული მხარის საუკეთესო ფოტოსურათებს.

ფოტოსურათებმა, რომლებიც ავტომატურმა სადგურებმა „ლუნა-3“-მა და „ზონდ-3“-მა მიიღეს, მთვარის უხილავი მხარისთან დაკავშირებული ბევრი ამოცანა ამოხსნა. ახლა მთვარის უკანა მხარეზე თითქმის არ დარჩენილა „თეთრი“ ლაქები. მთელი მსოფლიოს ასტრონომებმა მიიღეს მდიდარი მასალა, რომელიც

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 23 აგვისტო. პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში. სურათზე: გამოდის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ. (მიღებულია საქდესის ფოტო ტელეგრაფით).

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲐᲐ კორესპონდენტმა სთხოვა განემარტათ, თუ რა არის „ზონდ-3“ სადგურიდან გამოსახულების გადმოცემის წესის უპირატესობა „მარინერ-4“-ის სისტემასთან შედარებით. ი. ვ. ბოდაროვმა უპასუხა. უპირატესობა, უწინარეს ყოვლისა, გამოსახულების უსაზღვრო მკაფიოობაა.

აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა უპასუხა ჩეხოსლოვაკიელ კორესპონდენტს და თქვა, რომ სადგურ „ზონდ-3“-ის სისტემებს შეუძლიათ გამოსახულებათა გადმოცემა ასობით მილიონ კილომეტრზე და, მაშასადამე, შეეძლოთ პლანეტების ფოტოსურათების გადაღება და გამოსახულების გადმოცემაც. მაგრამ „ზონდ-3“ სადგურის წინაშე ასეთი ამოცანები არ ყოფილა დასახული. სადგურიდან შორ მანძილზე გადნეორებით გადმოიცემა მთვარის კამოსახულებანი. „ზონდ-3“-ის გაფრენა კანონებს მახლობლად გათვალისწინებული არ არის. მაგრამ გამოცდილება, რომელსაც „ზონდ-3“ სადგურით შევიიენთ, საშუალებას მოგვცემს შემდგომში გამოვიყენოთ ანალოგიური სხვა გაშვების დროს და პლანეტების ფოტოსურათების გადასაღებად.

კითხვაზე, არის თუ არა სსრ კავშირში შემუშავებული პროგრამა, რომ გადაღებულ ფოტოსურათები კოსმოსურ სივრცეში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა განაცხადა: საბჭოთა კავშირს არაერთგზის გამოუცხადებია პრესაში და საერთაშორისო კონფერენციებზე, რომ აქვს კოსმოსური ანპარატებით პლანეტების შესწავლის პროგრამა, და ეს შესწავლა გაგრძელდება. ის თქმა უნდა, უპასუხა მეცნიერმა, ეს პროგრამა, ისევე როგორც ყოველი მეცნიერული პროგრამა, ბოჭილი უნდა იყოს და ითვალისწინებდეს იმ ახალს, რაც იქმნება მეცნიერებასა და ტექნიკაში.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ როგორ აფასებენ საბჭოთა მეცნიერები ფრენას „ჭეშმარიტ“ და „მარინერის“ პროგრამებთან.

— ჩვენ შეგვაჩნია, — თქვა მ. ვ. კელდიშმა, — რომ ერთიც და მეორეც მეტად საინტერესოა. განსაკუთრებით უკანასკნელი „მარინერის“ ფრენა დიდი მეცნიერული მიღწევაა.

კითხვა: ზოგიერთ წარმონაქმნს, მატერიკსა და ზღვას მთვარის უხილავ მხარეზე ჯერ არა აქვს სახელწოდება. ეს მიეხებება უფლება სახელი დაარქვას მათ?

პასუხი: ჩვეულებრივ, თუ რომელიმე მეცნიერი რაიმეს აღმოაჩენდა პლანეტაზე, ან მთვარეზე, თვითონვე არქმევდა სახელს, რადგან სურათები გადაღებულია საბჭოთა მეცნიერებისა და ინტერნაციონალის ჭგეფის მეოხებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათ უფლება აქვთ დაარქვან სახელი აღმოჩენილ წარმონაქმნებს. ამიტომ მეცნიერთა ინიციატივით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა შექმნა კომისია, რომელიც სახელებს დაარქმევს აღმოჩენებს.

კითხვა: რა ნაბიჯი გადაიდგმება შემდგომში კოსმოსური სივრცის ათვისებასა და შესწავლაში, განსაკუთრებით თანამგზავრებისა და ეკვატორიანი კოსმოსური რაკეტების საშუალებით დედამიწის გარშემო ორბიტებზე, აგრეთვე სხვა ორბიტებზეც?

პასუხი: მოსალოდნელია როგორც ჩვენი კოსმოსური ეკიპაჟების, ისე, ავტომატური სადგურების გაფრენები კოსმოსური სივრცისა და პლანეტების გამოსაკვლევად. ჩვენ არ შეგვწყვეტია კოსმოსურ კვლევას, კვლევის მიმართულებანი ყველანი ხედავთ იქიდან, რაც გაკეთდა.

კითხვაზე მომავალი კოსმონავტების მთვარეზე გაშვების ადგილების ამორჩევის შესახებ აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა უპასუხა:

ამ ბოლო დროს ჩვენ საკმაოდ ბევრი ახალი რამ შევიტყეთ მთვარის ზედაპირის სტრუქტურის შესახებ. და ეს მოხდა არა მარტო კოსმოსური ამპარატების საშუალებით, ოოამედ ამას დიდად შეეწყო ხელი რადიოლოკაციურ ფენომენმაც. ზედაპირისეფიზიკურ თვისებათა შესწავლა, ფიზიკასაზრისით ეს ძალიან ბუნებრივ არის, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა ინფორმაცია, რომ ავირჩიოთ მთვარეზე მომავალი დაშვების ადგილი. დეტალურად კი, რომ გამოვიკვლიოთ, გამოსადეგია თუ არა გრუნტი, ოათა ავაგოთ შენობა, ან მითუნეტეს ბინის დაკეთება რომელიმე ობიექტი, ძალიან ბევრი რამ უნდა კვლევდეთ ამ გრუნტის შესახებ. ჯერჯერობით მეცნიერთა ცოდნა მთვარის გრუნტის შესახებ ერთმანეთს ეწინააღმდეგება, და ჯერ ადრეა, ჩემის აზრით, ამოვარჩიოთ ბინდაშვების ადგილები. რომ ვილაპარაკოთ იმეთ მართლაც წარმატებ ამოცანაზე, როგორიც არის დაშვება მთვარეზე ან სხვა პლანეტაზე, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მეცნიერებაში წინასწარ, და ეს არ უნდა დავივიწყოთ. კაცობრიობა უახლოვდება სამპლანეტათშორისო მიმოსვლას, მაგრამ თუ ამან გაგვიტაცა და შევეცდებით მეტად სწრაფად წავიდეთ წინ, ისე, რომ არ გვქონდეს საკმარისი მეცნიერული ცოდნა, ეს ცუდი იქნება.

ჟურნალისტებს აინტერესებდათ აგრეთვე „ზონდ-3“ სადგურში, დაღმოული სამართავი და წევის შესაქმნელი პლაზმური ძრავების მოწყობილობისა და მნიშვნელობის საკითხი. უპასუხა რა, ამ კითხვაზე, მ. ვ. კელდიშმა, დაახასიათა პლაზმური ძრავების უპირატესობა. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ ასეთი პლაზმური ძრავის შექმნა მეტად ძნელი ამოცანაა. რაც შეეხება ძრავებს, რომლებიც „ზონდ-3“ სადგურში არის დადგმული და „ზონდ-2“ სადგურშიც იყო, ისინი განაკუთვნილია ავტომატური სადგურის მართვისათვის კოსმოსში. „ზონდ-2“ სადგურის პლაზმური ძრავები ფაქტიურად პირველად გამოგიცდეთ კოსმოსში, და წარმატებითაც. მაგრამ ეოთეული გამოცდილება საკმარისი არ არის. ამიტომ ამ გამოცდილებას გავიძერიოთ.

კითხვაზე რამდენია „ზონდ-3“-ის წონა, უპასუხეს: ათასამდე კილოგრამი.

კითხვა: დაგეგმილია თუ არა მარსის შესწავლა ოდესმეს საშუალებით ადამიანის?

პასუხი: მომავალში დაგეგმილია. უახლოეს მომავალში ეს შეეფლებელია. ამისა საშუალებას ეო გვაძლევს კოსმოსური ბალისტიკის ცნობები. ხოლო შეგვლებთ თუ არა საკმაოდ სანტერესოდ მოგვმზადოთ მომავალი შესანალო ორტიმალური ფრიდისათვის, ამის თქმა ძნელია. რადგან ეს ფიდა შორს არის, წელიწადზე მეტია.

პრეს-კონფერენციაა პრესის მუშაკთა თხოვნით მოაწყეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის ალგაოეო საკმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის კავშირებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტმა

(საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲨᲡᲐᲓᲔᲜᲘ

ᲙᲘᲔᲕᲘ. 21 აგვისტო. (საკდესი). გაზის სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის კიევის ფილიალის სპეციალისტებმა დაამთავრეს სსრ კავშირ-ჩეხოსლოვაკიის გაზსადენის საბჭოთა უბნის საპროექტო დაგეგმა. მაგისტრალი, რომლის სიგრძე 500 კილომეტრს აღემატება, გადაიჭიმება დასავლეთ უკრაინის გაზის საბადოებიდან ქალაქ ბრატისლავის რაიონამდე.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაზსადენი თითქმის ორას კილომეტრზე იქნება გაყვანილი. ფოლადის მილებს მშენებლები რთულ პირობებში ჩაწყობენ. მათ უნდა გადალახონ მთის ცხრა მდინარე. ტყეებში უნდა გაკაფონ ასზე მეტი ზოლი. კარპატებში დასახულია მილები დაწყონ ეგრეთწოდებულ თაროებზე. ასეთი „თაროები“ მთის ფერდობებზე აშენდება დაახლოებით 70 კილომეტრზე.

საკდესის კორესპონდენტმა სთხო

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. 23 აგვისტო. (საკ.სინ კორ.). ბრეტან-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც ინფორმაციულ ეროვნული კრების მეოდმეორე კომიტეტის გეოგრაფიული მდივანი, ვიეტნამის ახალ-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარე ტონ კუანგ ფიეტონი, ეცნობა აჭარის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების გაფაფილების საქმიანობას.

სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღი, იყვნენ ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და ჩაქვის № 1 ჩაის ფაბრიკაში, სადაც გაეცნენ ჩაის კულტურის ზოგა-მოყვანასა და ჩაის ხელდაულიის გადამუშავების ტექნოლოგიას. ამ საწარმოთა მუშებთან, აგრონომ-სპეციალისტებთან — საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების კოლეკტიურ წევრებთან ერთად ბათუმელ გულითადად საუბრობენ ვიეტნამელნი ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ დიდად კმაყოფილი არიან ბათუმელთა მიღებისათვის.

დღეს ვიეტნამელმა მეგობრებმა დაათვალიერეს ბათუმის ღიმწყალსანიშნაობები, ეწვივნენ სავაჭრო ნავსადგურს. ნავსადგურის უფროსის მოადგილემ ა. ი. ...ისმანოვმა სტუმრებს უთხრა, თუ რა წარმატება აქვთ მოპოვებული ბათუმელ ნავსადგურის მუშაკებს, როგორ ინეოგენ-ბა წარმოებაში ახალი ტექნიკა, ტვირთის გადამუშავების პროგრესული მეთოდები. სტუმრებმა ნახეს უნიკალური ხიდური გადამტვირთები, რომლებსაც იყენებენ სტვირთო ოპერაციებისათვის ნავიბიან ბერეში.

შემდეგ დელეგაციის წევრებმა კატარღით გაიარეთნენ აჭარის. თვალწარმტაცი ნაპირების გაყოლებით. საზღვაო გასეირნების დამთავრების შემდეგ დელეგაციის წევრმა ნგუენ თხი ხანგმა კატარღის კაპიტანს ო. ქორქიას ქართულად უთხრა: „დიდთან გმადლობთ!“.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. 23 აგვისტო. (საკ.სინ). აქ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილებამ მოიწვია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 20 წლისთავის აღსანიშნავად. მიტინგს დაესწრნენ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის წევრები, რომლებიც სტუმრად არიან აჭარაში.

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარემ მწერალმა ფრიდონ ხალვაშმა მიტინგზე ელაპარაკა საზოგადოების აჭარის განყოფილების საქმიანობის შესახებ.

საზოგადოება აერთიანებს 14 კოლექტიურ წევრს — რესპუბლიკის მოწინავე საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ისინი ვიეტნამელ მეგობრებს დახმარებას უწევენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში. მაგალითად, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩაის მრეწველობისათვის ამზადებს მანქანებსა და აგრეგატებს. მანქანათმშენებლები ემტიუოად მონაწილეობენ ამის დამონტაჟებაში. ვიეტნამში საბჭოთა ტანკერებით ეგზავნება ბათუმელ მენავთობეთა მიერ გამომუშავებული დიდძალი ნავთობპროდუქტები.

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობისა და ვიეტხამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებებს შორის დამყარებულია ცოცხალი კავშირი — ისინი ერთმანეთს უცვლიან დელეგაციებს, ფოტოგამოფენებს, მასალებს. ფრიდონ ხალვაში შარშან იყო ვიეტნამში და შექმნა გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის მეთაურმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო კრების მუდმივი კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ვიეტნამის ახაა-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარემ ტონ კუანგ ფიეტომ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲡᲚᲔᲛᲡ ᲢᲝᲚᲘᲐᲢᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ

ᲠᲝᲛᲘ, 21 აგვისტო. (საკ.სინ). დღეს იტალიის კომუნისტური პარტია, იტალიის მშრომელები და ამ ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობა აღნიშნავენ პალმირო ტოლიატის გარდაცვალების პირველ წლისთავს. დილით იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა გვირგვინით შეამკეს ტოლიატის საფლავი. საფლავი გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე იტალიის პროლეტარული ერთობის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის, იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის, საზღვარგარეთ მცხოვრებ იტალიელ ემიგრანტთა დელეგაციებმა. მთელ იტალიაში ეწყობა მიტინგები, რომლებზეც გამოდიან იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელები.



ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ დემოკრატიული რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ცენტრში — მაგდებურგში მთავრდება მდინარე ელბაზე 260 მეტრი სიგრძის ახალი ხიდის მშენებლობა. ტრანსპორტის მოძრაობა ახალ ხიდზე გაიხსნება ოქტომბრის დღესასწაულისათვის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების დღისათვის. ძველი ხიდი, რომელიც აღებულ იქნება (სურათზე მარცხნივ), ომით დანგრეულ ქალაქში 1945 წლის შემდეგ აშენდა.

ფოტო ადნ-საკ.სინ.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 21 აგვისტო. (საკ.სინ). ... ...

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები •

ისტორიკოსები მესხეთ-ჯავახეთში

ახალციხე. (საკ. კორ.). ერთ თვეზე მეტია, რაც მესხეთ-ჯავახეთში მუშაობს საქართველოს აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საქართველოს ისტორიის განყოფილების ექსპედიცია, რომელსაც მეცნიერი თანამშრომელი ბ. შაფაქიძე ხელმძღვანელობს.

ექსპედიციის წევრებმა მუზეუმის ექსპონატების გასამდიდრებლად შეაგროვეს მდიდარი წერილობითი, ნივთიერი და ფოტომასალები, რომლებიც ასახავენ სამეცნიერო მესხეთის მშრომელთა ძველ და ახალ ყოფას, კულტურას, სოფლის მეურნეობას.

სტენოკარდიას მკურნალობს ქირურგი

სტენოკარდია, ანუ გულის ანგინა გულის ერთ-ერთი მძიმე და გავრცელებული დაავადებაა. იგი წარმოიმობა სისხლის მიმოქცევის დარღვევის გამო, როცა გულის კუნთი საჭირო რაოდენობით ვერ იღებს სისხლს, ვერ თავისუფლდება მავნე გადამუშავებული პროდუქტებისაგან, ცოტა აქვს ჟანგბადი — მისი ენერგიის წყარო.

ავადმყოფთა გადასარჩენად მედიკები იყენებდნენ წამლებს, სხვადასხვა თერაპიულ მეთოდებს. მაგრამ ამას მხოლოდ დროებით მოჰქონდა შემსუბუქება, და ამიტომ უკვე ნახევარი საუკუნის წინათ მოიმეზელიეს ქირურგია.

თავდაპირველად ექიმები ცდილობდნენ გაანალიზებინათ ნერვულ ცენტრებზე, რომლებიც სისხლძარღვების ტონუსს არეგულირებენ. ისინი აშორებდნენ სიმპათიკურ ნერვულ განტოტებს, რაც აგანიერებდა კორონარულ არტერიებს. აკეთებდნენ უფრო რთულ ოპერაციებსაც. გულის კუნთს მიაკერებდნენ მკერდის ან ნეკნებშორისი კუნთის ნაკუწს, ბადექონის ნაკეერს... მეხორცებული ქსოვილებიდან ახალი სისხლძარღვები იზრდებოდა და გულისათვის სისხლი მიჰქონდა. ზოგჯერ მკერდის შინაგან არტერიებს გადანასკვავდნენ ან დაავადებულ კორონარულ არტერიაში იჭრებოდნენ, რათა მოეშორებინათ სკლეროზული „ბალთა", რომელიც გასასვლელ გზას უხშობდა სისხლს. იყენებდნენ მკერდის შინაგანი არტერიის გადაბერვგას გულის კუნთის დაავადებულ ნაწილში. მაგრამ ეს მეთოდები ყველას და ყოველთვის როდი შველოდა.

ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტის 1-ლ კლინიკაში პროფესორ ვასილ კოლესოვის ხელმძღვანელობით შემუშავებულია გულის ანგინის მკურნალობის ახალი მეთოდი — მკერდის შინაგანი არტერიის შეერთება კორონარულთან.

თავდაპირველად ქირურგებმა ოპერაციის ტექნიკა დაამუშავეს ექსპერიმენტში ძაღლებზე, რომელთა არტერიის დიამეტრი სულ 2-3 მილიმეტრია. ეს იყველირულ სიზუსტეს მოითხოვდა. ოპერაციებს ყველგან ადგილი ადგილზე არა „მწარალ" გამორთულ, არამედ მომუშავე გულზე. ეს იმას ნიშნავს რომ ქირურგს ცოტა დრო ჰქონდა. დაყოვნება დაარღვევდა სისხლის მიწოდებას, გამოიწვევდა პარკუჭების ფიბრილაციას, შემდეგ კი გულის მოქმედების სრულ შეწყვეტას.

1964 წლის მაისში დაინიშნა პირველი ოპერაცია ადამიანის გულზე.

ელექტროენცეფალოგრაფი, ელექტროკარდიოგრაფი და სხვა ხელსაწყოები თვალყურს ადევნებდნენ ავადმყოფის ორგანიზმს.

ქირურგმა მკერდის ყაფაზი გახსნა, კორონარული არტერიები გამოიკვლია. პროფესორმა კოლესოვმა გარშემო ქსოვილებიდან გამოაყო დაავადებული ნაწილი, გადაკეტა იგი სპეციალური ტურნიკეტით — გული მუშაობას განაგრძობდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ შეიძლებოდა მკერდის არტერიის მიკერება კორონარულთან. კოლესოვის განაკვეთებში სულ 5-7 წუთი იყო, მაგრამ გამოცდილი ქირურგისათვის ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ წარმატებით დაემთავრებინა ოპერაცია.

გავიდა თვენახევარი. ავადმყოფმა კლინიკა დატოვა. მაგრამ მხოლოდ დრის შეეძლო დაედასტურებინა ოპერაციის წარმატება, ამას წინათ მოეწყო საკონტროლო გასინჯვა. კაცი, რომელმაც ოპერაცია გადაიტანა, კვლავ მივიდა კლინიკაში. მას გულის მწვავე ტკივილები აღარ ჰქონდა, შეეძლო დაბრუნებულიყო სამუშაოზე, რომელიც ფიზიკურ დაძაბვას მოითხოვდა.

ოპერაცია გაუკეთდა უკვე რამდენიმე ავადმყოფს, რომლებსაც სტენოკარდიის მძიმე შეტევები ჰქონდათ. ოპერაციამ ყველას მდგომარეობა შეუმსუბუქა.

ი. კოტროფეოვი.
ო. კოზდნიაკოვი.

მოკლედ

● **ნაუოფიერ** მუშაობას ეწევა ლენინგრადის კულტურის სახლის ფოტმხატვრული ბრიგადა, რომელსაც გ. ოვაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრები საზაფხულო სეზონებზე, ყოფილ წყეიმსებისა ხშირი სტუმრები ალიან. მათ მანტუ პლეხუმის დადგენილებებზე მოხსენებები წაუკითხეს და კონცერტები უჩვენეს დიდიანების, ლარგვისის, ეკიპაჟმაბრის, ნინაგრის, ორჯონიძის, ებრეგის და სხვა კოლმეურნეობების მწყემსებს.

ა. მარგიევი.

● **ხაშურში** ოდანოვის ქუჩაზე მოეწყო გამოსათვლელ-საანგარიშო სადგური, რომელიც მოემსახურება რაიონის საწარმოებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რთულ ეკონომიურ გაანგარიშებაში, საბუხჰალტრო აღრიცხვაში.

სადგური აღჭურვილია გამოსათვლელი, შემოჯამებელი, სალფაბეტო, საანგარიშო-საპერფორაციო მანქანებით.

ხ. დავითიძე.

ნიკო გოძიაშვილი

ქართველმა თეატრალურმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი რეჟისორი და მსახიობი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნიკოლოზ (ნიკო) ალექსანდრეს-ძე გოძიაშვილი.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა ნიჭიერი, თავმდაბალი და მოკრძალებული შემოქმედი, ქართული თეატრის უერთგულესი მეგობარი და მსახური, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და ენერგია უანგარიშოდ მოახმარა ქართული თეატრის განვითარების საქმეს.

ნ. გოძიაშვილი დაიბადა 1899 წელს თბილისში, სტამბის მუშის ოჯახში.

პატარა ნიკოს დუხჭირი ცხოვრება აიძულებდა სკოლაში სწავლასთან ერთად ფიზიკურადაც ემუშავნა.

1912-დან 1922 წლამდე ნ. გოძიაშვილი მუშაობს მსახიობად თბილისს, ბათუმისა და სოხუმის თეატრებში.

1923 წელს მას კონკურს გარეშე იღებენ მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი რეჟისორი ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

1926 წ. ნ. გოძიაშვილი ბრუნდება საქართველოში და როგორც რეჟისორი და მსახიობი მოღვაწეობს ქუთაისის თეატრში, 1927-1928 წ.წ. სუხუმში ბათუმის თეატრში. 1931-1935 წლებში იგი მიიწვიეს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მსახიობად და რეჟისორად, ხოლო 1936 წლიდან სათავეში ჩაუდგა ფოთის სახელმწიფო თეატრს, სადაც მოღვაწეობდა 1946 წლამდე. მისი ხელმძღვანელობით თეატრმა [illegible] 75 დადგმა, მათ შორის „სამშობლო", „ეგმირთა თეატრი", „ურიელ-აკოსტა", „ეროვნული ფიფა" [illegible] 1946 წელს ნ. გოძიაშვილი ხელოვნების საქმართველოს თეატრალურ განყოფილებაში, ხოლო 1948 წლიდან თბილისის სანკულტურის თეატრში რეჟისორად.

1956-58 წლებში ნ. გოძიაშვილი მიიწვიეს ქუთაისის ნ. მესხიშვილის სახელობის თეატრში მთავარ რეჟისორად.

ნ. გოძიაშვილის შემოქმედება მხოლოდ აღნიშნული ფაქტებით რადი ამოიწურება. რესპუბლიკაში არ არის თითქმის არც ერთი თეატრი, რომ გოძიაშვილს მის მუშაობაში თავისი წვლილი არ შეეტანოს. თეატრში 42 წლის მოღვაწეობის მანძილზე მან განახორციელა 120 დადგმა და შეასრულა 100-ზე მეტი როლი.

თეატრში მუშაობასთან ერთად იგი ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსების დღიდან იგი იყო მისი გამგეობის უცვლელი წევრი და საბჭოთა თეატრალური ხელოვნების მგზნებარე პროპაგანდისტი.

ქართული თეატრალური კულტურის წინაშე დამსახურებისათვის ნ. გოძიაშვილს მინიჭებული ჰქონდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება და დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

ყველას, ვისაც კი ურთიერთობა ჰქონია ნ. გოძიაშვილთან, მოუდამ ეხსომება ეს კეთილი, გულსხმიერი და სათნოებით აღსავსე ადამიანი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.
საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

კოლმეურნე გოგონა

ჭეშმარიტი შემოქმედება ცხოვრების სინამდვილით საზრდოობს. საკოლმეურნეო შრომის თემას მიუძღვნა ფერწერული ტილო მხატვარმა გ. ჩირონაშვილმა. მან ამ ნაწარმოებს „კოლმეურნე გოგონა" უწოდა.

მხატვარი სოფლის ცხოვრებიდან აგვიწერს იმ ფუსფუსს, როცა კოლმეურნეებმა უკვე ერთი ადგილას მოზიდეს თივა, სათანადო ადგილი შეურჩიეს და თივის, ასე ვთქვათ, დაბინავება ხდება. ამა დაკვირდით, რა ენერგიულად, ენთუზიაზმითა და მონდომებით შრომობს ეს კოლმეურნე გოგონა. მის გამოხედვაში მხატვარმა კარგად განაზოგადა კოლმეურნე გოგონას სამყარო, მისი ქალური სინაზე, სიფაქიზე.

სურათში მკაფიოდ იგრძნობა მშრომელი ქალი, რომელმაც კარგად იცის შრომის ფასი და შრომაში ვაჟკაცების მხარდამხარ დგას. მაგრამ იგი ამავე დროს ჩვენს წინ წარმოდგება როგორც ქალი, რომელიც დიდ უურადღებას აქცევს ესთეტიკურ მხარესაც. ამაზე მეტყველებს კოლმეურნე გოგონას სახის ნაკვთების სილამაზე, მომხიბლავი თვალწარი, ტანის აღნაგობა.

ხ. ნაციაშვილი.

სურათზე: ფერწერული ტილოს — „კოლმეურნე გოგონას" რეპროდუქცია.

დიდი ლოდინის შემდეგ...

„დინამო" (თბილისი) — **„ლოკომოტივი"** (მოსკოვი). **თბილისი. 23 აგვისტო. „დინამოს" სტადიონი. მსაჯი — ი. პონომარიოვი** (ციშინიოვი).

„დინამო" — **ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი (ხუციშვილი); „ლოკომოტივი"** — **ტუგოლუკოვი, კორენოვი, ჩინენოვი, პრუდნიკოვი, ბელიაკოვი, პრესნიაკოვი, დავიდოვი (ორეშნიკოვი), სიაგინი, კოვალიოვი, ბუბუკინი, ბისტროვი.**

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს არ იყო დიდი ფეხბურთისათვის დამახასიათებელი მრავალმხრივი და ეფექტური ბრძოლა. მარტო გამარჯვების წყურვილი როდი კმარა, ამასთანავე საჭიროა მაღალი ტექნიკა, ნებისყოფა, ინიციატივიანი თამაში. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დინამოელებს აქცენტი გადატანილი ჰქონდათ მაღალტექნიკურ, კომბინაციურ პაექრობაზე, ლოკომოტიველები კი ამას ძალისმიერ, ზოგჯერ უხეშ ბრძოლას უპირისპირდნენ. ერთის ერთთან მჭიდრო თამაშმა და მეურვეობამ, მატჩს სანახაობითი სახე დაუკარგა.

მართალია, 45 წუთი ისე ამოიწურა, რომ მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, საგოლო მომენტები არ იყო. მე-9 წუთზე ჭელიძის შეცდომა დინამოელებს კინაღამ ძვირად დაუჯდათ, აქ ურუშაძემ იხსნა კარი. ათი წუთის შემდეგ მარცხენა ფრთიდან გათამაშებული კომბინაცია გოლით ვერ დაგვირგვინა მეტრეველმა. 39-ე წუთზე ურუშაძემ კვლავ ჩინებულად ითამაშა, გადაარჩინა კარი უდაო გოლისაგან.

მეორე ტაიმი დიდად განსხვავდებოდა პირველისაგან. თამაში გამწლილი, ტემპიანი და მიზანსწრაფული იყო. მესხის შეცვლით თავდამსხმელთა რიგებში გადანაცვლება მოხდა. მისი ადგილი დათუნაშვილმა დაიკავა, მეტრეველმა კი მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა და შუამარბის ადგილი ხუციშვილს დაუთმო. დინამოელებს ძირითადად მარჯვენა ფრთიდან მიჰქონდათ იერიში, „ლოკომოტივის" კარი განუწყვეტელ საფრთხეში იყო — 49-ე წუთზე ზედიზედ სამი კუთხური ჩამოწოდეს.

მიმდინარეობდა 54-ე წუთი. კომბინაცია კვლავ მარჯვენა ფლანგიდან გათამაშდა, იგი გ. სიჭინავამ წამოიწყო. ამას მოსყვა კარის გაწვრილ ჩაწოდება, დათუნაშვილს დარტყმა და გოლი.

ფეხბურთში ზოგჯერ ასეც ხდება — უტევს ერთი გუნდი, გოლი კი მეორეს გააქვს. მსგავს ეპიზოდს ამ მატჩშიც ჰქონდა ადგილი. დაცვის ყურადღებაა ოდნავი მოდუნება კარგად გამოიყენა ვეტერანმა ბუბუკინმა და ძლიერი დარტყმით წონასწორობა აღადგინა.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ჩემპიონი თავის მოედანზე კიდევ ერთ ძელს კარგავდა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ხუციშვილმა თავური დარტყმით დინამოელებს გამარჯვების გოლი მოუტანა.

როგორც იქნა ფეხბურთის გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ისინი საკუთარ მოედანზე წარმატებას ეღირსნენ.

ვ. ბაბელია.

მატჩები და შედეგები

22 და 23 აგვისტოს გაიმართა **საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.**

ბაკულ კვირადღეს მოსკოვში პაექრობა ჰქონდათ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებს დედაქალაქის „ტორპედოსა" და ცსკა-ს. შეხვედრა მოიგეს ტორპედოელებმა 1:0.

გუშინდელი მატჩებიდან ყურადღების ცენტრში იდგა ძველი მეტოქეების — მოსკოვის „დინამოსა" და სსრ კავშირის თასის მფლობელის „სპარტაკის" შეხვედრა. წარმატება 1:0 დინამოელებს ხვდათ.

არანაკლებ ინტერესს იწვევდა მატჩი დონის როსტოვში ადგილობრივ ალმაზის სასპორტო კლუბის გუნდსა და ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის მინსკის „დინამოს" შორის. გიამარჯვეს დონის როსტოველებმა 3:0.

დრნმეცკში თამაშობდნენ ოდესის „ჩერნომორეცი" და დონეცკის „შახტორი". მატჩის შედეგი 1:0 ოდესელთა სასარგებლოდ.

ჩემპიონატის აუტსაიდერი ოდესის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი საკუთარ მოედანზე შეხვდა ლენინგრადის „ზენიტს" და კიდევ ერთი დამარცხება განიცადა 0:1.

ბაქმს „ნეფტანიკს" ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი კიევის „დინამო" ეწვია. მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.

საქართველო-იტალია—8:0

იტალიელი მოჭიდაველები პირველად ჩამოდიან ეწვევნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს. ისინი ორი წლის წინათაც იყვნენ თბილისში და დამარცხდნენ 1:7.

და აი გასულ კვირადღეს ქიროვის პარკის სასპორტო მოედანზე თბილისელებმა კვლავ იხილეს იტალიელი კლასიკური მოჭიდაველები. ამჯერად მათ რიგებში სპარბობდა ახალგაზრდობა, ჩანს, იტალიელები აქედანვე ზრუნავენ მეხიკოს ოლიმპიური ასპარეზობისათვის.

სპორტსმენთა პარადის შემდეგ ხალიჩაზე გამოვიდნენ მჩატე წონის მოჭიდაველები — **ზ. უგრეხელიძე** და **დ. ჩენტურიონი** (უმჩატეს წონაში იტალიელებს მოჭიდავე არ გამოუყვანიათ, სამაგიეროდ ქვემძიმე წონაში ორი წყვილი იბრძოდა). ქართველი სპორტსმენის ეფექტური ილეთს ილეთი მოჰყვა და 1 წუთსა და 20 წამში მან წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

მომდევნო წონაში **ო. მელაშვილის** უპირატესობა ამჯარა იყო **ბ. მარძარისთან** პაექრობაში, მაგრამ წმინდა გამარჯვების მოპოვება მაინც ვერ შეძლო და ქულებით მოგების დასაჯერდა. ასევე ქულებით გიამარჯვა **დ. გვანცელაძემ ე. ბელოტისთან.**

აქტიურად იბრძოდა ქვეესპეშული წონაში **ო. თარგამაძე. ჯ. ძარდონისთან.** 7 წუთსა და 20 წამში **ო. თარგამაძემ** წმინდა გამარჯვება მოიპოვა. სულ 2 წუთი და 45 წამი დასჭირდა საშეალო წონის **კ. ღულუნიშვილს** იმისათვის, რომ ორივე ბეჭით მიეკრა ხალიჩაზე იტალიელი **ა. ძამბონი.**

ქვემძიმე წონაში ეფექტური გამოდგა **ჯ. ნოზაძისა** და **ს. მალტას** ორთაბრძოლა. 37 წამში ქართველმა მოჭიდავემ წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ამავე წონის მეორე წყვილის — **ფ. გველესიანი — ი. ძანოტას** პაექრობაში წარმატება ქულებით **ფ. გველესიანს** ხვდა.

მძიმე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ **ნ. ერემეიშვილი** და **ჯ. მარკუჩი.** აქ შეხვედრის ბედი გადწყვიტა ერთადერთმა ილეთმა და ქულამ. გიამარჯვა **ნ. ერემეიშვილმა.**

ამრიგად, საქართველოსა და იტალიის კლასიკურ მოჭიდაველთა საერთაშორისო შეხვედრა დამთავრდა საქართველოს მოჭიდაველთა ბრწყინვალე გამარჯვებით 8:0.

საჰაერო ტურიზმი

ყაზახეთში შეიქმნა ტურიზმის ახალი სახეობა — ავიატურიზმი. პირველმა ჯგუფმა — 35 კაცმა უკვე იმოგზაურა ლენინგრადში. ავიატურისტთა ორი ჯგუფი იყო ადრეთვე ყირიმში. ყოველთვიურად საჰაერო მოგზაურებისათვის ეწყობა ოთხი სპეციალური რეისი.

ტურიზმის ახალმა ფორმამ უკვე მოიპოვა აღიარება: საგზურები ერთ დღეში იყიდება. ავიატურისტები საგზურებს იძენენ 20 პროცენტის ფასდაკლებით. იმ ადგილებში, სადაც მოგზაურობის მარშრუტი გადის, ტურისტებისათვის დაჯავშნულია სასტუმრო, ტრანსპორტი, გამოყოფილი არიან ექსკურსიამძღოლები. მცირე დროში შეიძლება მრავალფერსშესანიშნაობას გაეცნოთ სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხეში.

გაისიდან ტურისტებისათვის რეგულარულად იქნება გამოყოფილი სპეციალური თვითმფრინავები.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება საჰაერო მოგზაურობის გეოგრაფია. ტურისტები თვითმფრინავით გაეგზავნებიან ლენინგრადში, ყირიმში, თბილისში, სოჭში, მოსკოვში.

ბადეკონი



საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ დაუსწრებელი სწავლების განყოფილების სტუდენტთა სალექციო-ლაბორატორიული შეკრებები 1965-66 სასწავლო წელს მოეწყობა შემდეგი განრიგით:

1. აგრონომია, აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობის სპეციალობების II კურსები 1965 წ. 15 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე ჩათვლით; **III-IV-V-VI კურსები** — 1965 წ. 15 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე ჩათვლით.

2. მეცნარეთა დაცვა, მეაბრეშუმეობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სატყეო-ხაინჟინრო საქმე და სატყეო-სამეურნეო სპეციალობების II კურსები — 1965 წ. 27 დეკემბრიდან 1966 წ. 25 იანვრამდე ჩათვლით; **III-IV-V-VI** კურსები—1965 წ. 27 დეკემბრიდან 1966 წ. 4 თებერვლამდე ჩათვლით.

3. მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობის სპეციალობის I-II კურსები და აგრონომია, აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა, მცენარეთა დაცვა, მეაბრეშუმეობა, სატყეო-ხაინჟინრო საქმე, სატყეო-სამეურნეო და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობათა I კურსები — 1966 წ. 7 თებერვლიდან 8 მარტამდე ჩათვლით; **მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობის სპეციალობის III-IV-V-VI კურსები** — 1966 წ. 7 თებერვლიდან 18 მარტამდე ჩათვლით.

4. ღვინის ტექნოლოგია, ხილბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია, საბუხჰალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში და სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაციის სპეციალობათა I-II კურსები — 1966 წლის 21 მარტიდან 19 აპრილამდე ჩათვლით; **III-IV-V-VI** კურსები — 1966 წ. 21 მარტიდან 29 აპრილამდე ჩათვლით;

რეკტორატი მოაგონებს სტუდენტებს, რომ საკურსო გამოცდების ვადა მთავრდება შეერების დაწყებამდე ერთი თვით ადრე.

ყველა სტუდენტი ვალდებულია: საგამოცდო სესიის ვადის დამთავრებამდე ჩაბარების დეკანატს ჩათვლის წიგნაკი (მატრიკული).

საელექციო-ლაბორატორიულ შეკრებაზე გამოძახებული სტუდენტები ვალდებული არიან გამოცხადდნენ დეკანატში შეკრების დაწყების დღეს ძალის 9 საათზე რეგისტრაციაში გასატარებლად და თან იქონიონ სტუდენტის ბილეთი, დამოწმებული გამოძახების ფურცელი და ცნობა (შტამპითა და ბეჭდით) უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ხელმოწერილი წარმოების (დაწესებულების) ხელმძღვანელისა და მთავარი ბუხჰალტრის (ბუხჰალტრის) მიერ.

ცნობაში აღნიშნულ უნდა იქნას სტუდენტის სამუშაოზე მიღების თარიღი, ბრძანების № და ამის მიერ გამომუშავებული თანხა (კოლმეურნეთათვის — შრომადღეების ოდენობა) თვეების მიხედვით უკანასკნელი ექვსი წლის (12 თვის) მანძილზე.

სტუდენტთა მიღება დეკანატებში იწარმოება შემდეგ დღეებში: ორშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი.

თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის № 968 დადგენილებისა დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთათვის სწავლის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით წარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები ვალდებული არიან დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები გათავისუფლონ სალამოს საათებში მუშაობისაგან, დროულად მისცენ სასწავლო შვებულება, გამოუყონ ადგილი საწარმოო პრაქტიკის გასავლელად და ნება დართონ გადავიდნენ სამუშაოდ სპეციალობის მიხედვით.

ნიკოლოზ ბაბალიაშვილი



ჟრ. ოფ. ბიბლიოთეკა

ბაბალიაშვილი ... ბ. ... 1946 წელს ნ. გოძიაშვილ[illegible] ... ხელოვნების საქმართველოს თეატრალურ განყოფილებაში, ხოლო 1948 წლიდან თბილისის სანკულტურის თეატრში რეჟისორად.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.
საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

მხედრები ქალებს ცდიან

ცხენოსანთა ასპარეზობა კურორტ ბახმაროში ტრადიციული გახდა. ამ შეჯიბრებას გასულ კვირას მრავალი მაყურებელი ჰყავდა. მასში მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის, მახარაძის, ჩოხატაურისა და ხუროს რაიონების უძლიერესმა ცხენოსნებმა.

მიმზიდველი იყო დღი ოთხ კილომეტრზე. აქ ფინიშთან პირველი მივიდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის წარმომადგენელი მ. ჩხიკვაძე, რომელმაც დისტანცია 9 წუთსა და 12 წამში დაფარა. გიამართა აგრეთვე მარული რვა კილომეტრზე. გიამარჯვა მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის ცხენოსანმა რ. მეგრელიძემ.

ის ცხენოსნები, რომელებმაც მაღალი შედეგები აჩვენეს, მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ასპარეზობაში, რაც ალმა-ატაში გაიმართება.

◆

ფინალისტები გამოვლინდნენ

ჯელს პირველად თამაშდება ევროპის თასი მძლეოსნობაში ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის (ალმაზალ).

ჩვენი ვაჟი მძლეოსნები გამოდიოდნენ ოსლოში. მათ აქ ჩინებულად ჩაატარეს შეჯიბრება. პირველი ადგილი დაიკავეს და ფინალში გავიდნენ. საბჭოთა მძლეოსნებთან ერთად ოსლოს ჯგუფიდან ფინალში მოხვდა სალონსგეთის გუნდი. ბეგრებისა და რომის ნახევარფინალებიდან ფინალში გავიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის გუნდები.

წარმატება ხვდათ აგრეთვე ჩვენს მძლეოსან ქალებს. რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში გამართულ შეჯიბრებაში მათ პირველი ადგილი დაიკავეს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მძლეოსნებთან ერთად ფინალში გავიდნენ.

◆

„მცირე ოლიმპიადა" ბუდაპეშტში

ბუდაპეშტში გრძელდება სტუდენტთა მსოფლიოს ასპარეზობა — უნივერსიადა. გასულ კვირადღეს ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები. ს. ბელიტ-ბალინანმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველობა აიგანა. აჩვენა დრო 4 წუთი და 15,6 წამი. 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში საბჭოთა სპორტმენმა ვ. კუზმინმა ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 2 წუთი და 10,4 წამი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ დისტანციაზე პირველი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მეცურავი პარლ რობი (2 წუთი და 9,3 წამი).

გრძელდება ჩოგბურთელთა პაექრობა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ი. ერმოლოვა მეოთხედფინალში გავიდა. ვაჟთა შორის მორიგი გამარჯვება მოიპოვეს თ. ლეონესმ, ა. პოტანინმა და ა. ლიხაჩოვმა.

... ეროვნული ... ...

... ...

... ...

... ...

... ...

... ...

... ...

##